წელიწადი I-ლი

ბათომის ფურცელი

კვირა 5 დეკემბერი — ფასი 15 მან.

გაზეთი ღირს თვიურად . . . . . ერთ ეგზემპლარი 1 მან.
განცხადების ფასი ბიბლიოთეკაში
1 გვერდზე პეტიტით სტრიქონი . . . . 20 მან.
4 „ „ „ . . . . . 15 მან.
სამგლოვიარო განცხადების ფასი შეთანხმებით.

ხელმოუწერ წერილებს რედაქცია არ მოათავსებს და მათ შესახებ არავითარ ძოლაპარაკებას არ იკისრებს. წერილები უნდა იყოს დაწერილი ერთ გვერდზე და სუფთათ.
რედაქტორის ნახვა დრ. შეიძლება მარინეს პროსპექტზეთ № 13 დილის 11 საათ. 2 საათამდის. სარედაქციო კოლეგიის მდივანის ნახვა შეიძლება შმაევსკის სტამბაში 10 საათ. საღ. 3ს.

№ 73 — ეროვნულ-დღიური დემოკრატიული ორგანო — № 73

ელექტრო თეატრი „ა ვ ო ლ ლ ო“
ნ. დ. ბროდვალ-სხირტლაძის
შაბათიდან 4 დეკემბრიდან დაიწყება
კინო-რომანის ჩვენება
ნიღაბი თეთრი კბილებით
16 ეპიზოდი—32 ნაწ.
მთავარ როლს ასრულებს
ცნობილი ჰირლ-უაიტი
6 სერია. ეპიზოდი—11 დამნაშავე და მართალი—12 მილნის ნიშანი
დასასრულ გადაცმულის თავგადასავალი სასაცილოა.
ანონსი: ოთხშაბათს, 8 დეკემბერს—7 სერია ნიღაბი თეთრი კბილებით

ელექტრო-თეატრი „ტ რ ი უ მ ფ ი“
თეატრი მოწყობილია საზამთროთ
ამერიკული სისტემით, მყუდრო და თბილათ.
ხუთშაბათიდან, 1920 წ. 2 დეკემბერს
სადამო სიცილი და დრეტსტარება.
მონაწილეობას ღებულობს მაკს-ლინდერი,
მაკს-ლინდერი მ ო ნ ა ს ტ ე რ შ ი
ასეთი ცხოვრება
ანონსი: ხუთშაბათიდან დეკემბრიდან სურათების ახალი გამოცვლა.

საკომისიო მაღაზია
„ამხ. სოიუზი“
(მიხაილოვის 7 15 ლორის.-მელიქ. ქ. კუთხ.)
ყიდულობს და იღებს საკომისიოდ
ძვირფას ნივთებს, ბრილიანტებს და სხვა.

კვირას 5 დეკემბერს
გამეორელიძის ცირკის შენობაში
გ. გ. ა ი ო ლ ო
წაიკითხავს მოხსენებას
მსოფლიო რევოლ-
ლიუციის შესახებ.
დასაწყისი 4 საათზე.

განსაკუთრებულ მმართველობაში.

დეკემბრის 3-ს განსაკუთრებულ რწმუნებული ინახულა საფრანგეთის ესკადრის სარდალმა.

— ამავე დღეს განსაკუთრებულ რწმუნებულთან სადარბაზოდ იყო ჯარების სარდალი გენერალი ზაქარია მდივანი.

— დეკემბრის 3-ს საღამოთი განსაკუთრებულ რწმუნებულის განკარგულებით შეიკრიბა უწყებათა შორისო კომისია, რომელსაც უნდა დაეწესებია ბინების ფასები იმ სახელმწიფო მოხელეთათვის, რომლებიც რეკვიზიციით არიან ჩასახლებულნი კერძო ბინებზე თუ სასტუმროებში.

კომისიამ საჭიროთ დაინახა კომისიის შემადგენლობის უფრო გაფართოება სადაც შევლენ სხვათაშორის წარმომადგენლები ბინის დამქირავებლების კავშირისა, სახლის მეპატრონეთა სასტუმროების მოიჯარადრეთა, პროფესიულ კავშირებთა და შრომის კომისარიატისა. ამ კომისიამ ქალაქის თვითმართველობაში უნდა იმუშაოს და შემდგომ თავის ნარკვევი საქირავო ბინის ფასების შესახებ დასამტკიცებლად უნდა წარუდგინოს განსაკუთრებულ რწმუნებულს.

— 3 დეკემბერს შეკრებილმა კომისიამ განსაკუთრებულ რწმუნებულის საქმეთა მმართველს ბ-ნ ალ. შენგელიას თავმჯდომარეობით თავისი პროექტი წარუდგინა განსაკუთრებულ რწმუნებულს. კომისიის მუშაობა ამ დღეებში უნდა დაიწყოს განსაკუთრებულ რწმუნებულის ბრძანებით.

ბათომი, 5 დეკემბერი.

მრისხანებით იშლეპიან დამპყრობელის რაშზე მჯდომ მოსკოვის კომუნისტების პრობლემები ჩვენს გარშემო. სომხეთში გაიმარჯვა ქემალ ფაშამ, ქემალმა სომხეთი გასჭყლიტა, და ამ მოვლენიდან ახლა უდიდეს სარგებლობის საწილადოთ დაიძრა საბჭოთა ჯარი. ბოლშევიკები სომხეთში გამარჯვების აღსავლის კარებში სდგანან, რევკომები ეწყობიან და სამ თვის წინად სომხეთის საზღვრებზე დაბანაკებული ჯარები სომხეთის სიღრმეში იჭრებიან. მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო. წაიშალა სომხეთის ხელმწიფება, რომელსაც იმ თავიდანვე არ დაყვამტკიცე ელემენტი ხალხისნურ შინაურ სიმაგრისა და მის აღელვებულ გულში საზეიმოდ „შევიდა საბჭოთა რუსეთი.

საბჭოთა რუსეთი ცნობილ გეგმას ასრულებს, ამიერ-კავკასიას იპყრობს ის დაეუფლა აზერბეიჯანს და ახლა ხელში ბოჭავს სომხეთის ხალხს სოციალიზმის სახელით,

ამიერ-კავკასიის ოჯახი იქცევა. განმარტოვებული რჩება საქართველოსავით დაოქრობული ჩრდილდანი აზიისა და ევროპის გზაზე. მარტო დარჩა საქართველო, როგორც წარსულში, როცა ის მთელ კავკასიის სახელმწიფოებრივობას უდგა სათავეში და აწმყოში კი მისი გაწვრთნილი დემოკრატია მთელ ამიერ-კავკასიას იცავდა გახრწნისგან და დარღვევისგან. საქართველოს საამაყო როლი და ადგილი აქვს ამიერ-კავკასიაში.

ასე უშნოთ კვდებიან ჩვენი მეზობლები, მაგრამ ჩვენ ვსცოცხლობთ და ვიგლოვთ მეზობლებს.

სომხეთის ამბები ხელ ახალი გაფრთხილებაა საქართველოსი. მოვლენათა შორა გვიბრძანებს რკინის ერთსულოვნებას, ძალთა მოკრებას და ისე ლამაზად დაცვას საქართველოს თავისუფლებისას, როგორც კოველთვის. გაუბედურების გზაზე დამდგარ სომხეთს კვლავ გამოფხიზლბისაკენ ვეძახით, რის მიღწევაც ჩვენ გაგვახარებდა.

მხოლოდ ჩვენ დღეს საკუთარ სახელმწიფოებრივობას შიგნით და გარე ურყევობაზე უნდა ვიზრუნოთ.

დღეს ყველაფერი თავდაცვისათვის და ქვეყნის გამაგრებისათვის უნდა კეთდებოდეს.

ბოფერები დაგვექცენ. ის ძალა, რომელსაც ჯერ ჩვენს მიმართ მტრული სიტყვა არ უთქვამს იარაღის ენით, მაგრამ რომლის ბუნებაც ბათომის გარშემო ატეხილ ინტრიგებით ხასიათდება, ჩვენ სხეულს ადგება.

ქვეყნის მესაჭენო ფრთხილად, ყველა სამუშაოზე.

სადღეისო შენიშვნები.

ახლა მიხვდენ?

„ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ სოციალისტურ რუსეთს ევროპის ან ამერიკის კაპიტალის, უმთავრესად ევროპა—ამერიკის ტეხნიკის დაუხმარებლად, მხოლოდ საკუთარ ძალებზე დაყრდნობით არ შეუძლია მოაგვაროს მოკლე ხანში მხარის ეკონომიურად აღორძინების საკითხი“.

არ იკითხო მკითხველო თითქოს ეს ამონაწერი ამოღებული იყოს რომელიმე მენშევიკური ან სხვა „კონტრ-რევოლიუციონური“ გაზეთის მეთაურიდან არა. ამას სწერს ქართველი (?) კომუნისტების რუსული ორგანო „საქართველოს კომუნისტი“.

3 წელი დასჭირდათ კომუნისტებს, რომ ეს. უდაო ჭეშმარიტება შეეთვისებიათ.

3 წლის უკან ზინოვიევმა დიდის

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიხით გამოაცხადა რუსეთში სოციალისტური რევოლიუციის დაწყება. თუ სხვებს იჭვი ეპარებათ რუსეთში კომუნისტური რესპუბლიკის არსებობაში, კომუნისტები ყოველ შემთხვევაში მის (სოციალისტური სამოთხის) არსებობაში ღრმად არიან დარწმუნებული.

ახლა მოდით და ნუ განცვიფრდებით,—სოციალისტური სახელმწიფო და უცხოეთის კაპიტალი!

შეუძლებელი, შეუთავსებელი მოვლენაა!

მაგრამ საქმე იმაშია, რომ რუსეთში არავითარი სოციალიზმი და მით უმეტეს არც სოციალისტური წარმოება არ არსებობს.

ყველა ის თვალწარმტაცი გეგმები და მომჯადოვებელი ციფრები, რუსეთის წარმოების ზრდის მაჩვენებელი, მხოლოდ ქალალდზე ან კომუნისტ სტატისტიკოსების ოცნებაში არსებობს. თორემ კომუნისტები ტრაბახს, რომ დაუჯერო რუსეთში არც სიცივე, არც სიმშილი, არც წარმოების კრიზისი არ არსებობს. მაგრამ როცა ძალიან გაუჭირდებათ საბჭოთა მესვეურებს აუვირდებიან: წითელ ჯარს ფეხთ არ აცვია, შიშველი დაიარება, შეშას დამზადება სჭირია; მშრომელებო შეშის ფრონტისკენ, მშრომელებო სოფელში პურისათვის!

კომუნისტებმა ყურები გამოუჭედეს ევროპიელ ვაჭრებს რუსეთში დაგროვებულ ნედლი მასალის შესახებ, მაგრამ, როცა ჯერი საქონელის გაცვლაზე მიდგა გამოირკვა, რომ ნედლი მასალა ან სამოქალაქო ომში დაილუპა ან თვით ბოლშევიკებმა მოიხმარე, გააჩანაგეს (შეშა, ნახშირი) ან ტრანსპორტის უქონლობის გამო არ შეიძლება მისი მიზიდვა გასაჭიდ ადგილებში,—ნავთსადგურებში (მაგ. ბიითონი, ბამბა და სხვ.) ზოგიერთ საქონელი, რომლის მიცემა დაპირდა ინგლისელ ვაჭრებს მოსკოვის მთავრობა, თუ ისინი რუსეთისათვის საჭირო საქონელს შემოიტანდენ, თვით რუსეთს არ ყოფნის. მაგალითად კრასინი შეპირდა ინგლის 10 მილიონ ცალი ხის შპალის მიცემას. მაგრამ რუსეთს თვით არ მოეპოება ამდენი შპალები, სწორეთ ამ მიზეზით საგზაო უწყებას ვერ გამოუცვლია რუსეთის რკინის გზებზე დამპალი შპალები.

რუსეთის არაფერი არა აქვს სამაგიეროდ ევროპიდან შემოტანილ სნქონელში მისაცემი

მაგრამ რუსეთის საკუთარ ძალებით ვერც წარმოების აღდგენას ახერხებს და აი კიდევ უხმობს უცხოეთის კაპიტალისტებს: წარმოება ჩვენი დიდია, მაგრამ მოვლა ესაჭიროება. მოდით და ეპატრონეთო.

თავისთავად ცხადია, რომ ეს ახალი ნაბიჯი მოსკოვის მთავრობისა, თავის გავლენას იქონიებს საბჭოთა კომუნისტური რესპუბლიკის პოლიტიკურ ცხოვრებაზე.

აგრეთვე არც ერთი ჭკუამყოფელი ადამიანი არ დაიჯერებს იმას, თითქოს საკმაო გარანტიების უქონლათ ევროპის ან ამერიკის კაპიტალისტი რუსეთში წარმოებას მოკიდებს ხელს. ეს გარანტიები, თუ უცხოელი კაპიტალისტები მართლა წავიდენ რუსეთში, იქნება არა ქალალდის გარანტიები, არამედ უფრო რეალური. საბჭოთა მთავრობას აიძულებენ დარჩენილი ოქრო შეიტანოს ნიუ-იორკის ან ლონდონის ბანკებში. ეს იქნება უფრო რეალური გარანტია ვიდრე კრასინ-ჩიჩერინის დაპირებები.

„ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ სოციალისტურ რუსეთის ევროპის ან ამერიკის კაპიტალის უმთავრესად ევროპა-ამერიკის ტეხნიკის დაეხმარებლათ, მხოლოდ საკუთარ ძალებზე დაყრდნობით არ შეუძლია მოაგვაროს მოკლე ხანში მხარი ეკონომიურად აღორძინები საკითხი“.

სრული ჭეშმარიტებაა. მეტად სასიამოვნოა რომ სამი წლის სხვა და სხვა ექსპერიმენტების და კომუნისტური ეკონომიური გეგმებსს გამომუშავების შემდეგ, ბოლშევიკები აღიარებენ ამ ჭეშმარიტებას.

მაგრამ მეტად სასაცილოა ის, როცა ამგვილობრივი წვრილფეხა კომუნისტები, ძველებურ თაღლითობის და გაიძვეროობის გზას განაგრძნობენ:

„მაგრამ გარეშე ყველა ამისა, საბჭოთა მთავრობის თანხმობით უცხოელ კაპიტალისტების დაშვებაზე, ხორციელდება საუცხოო სტრატეგიული მანევრი წმინდა ეკონომიური ხასიათისა: საბჭოთა რუსეთის მტრების ბანაკი იშლება, კონცესიების საკითხის გარშემო ბრძოლაა მათ შორის. დღე მეტი კაპიტალები და ტეხნიკა ჩადგან რუსეთის წარმოებაში, დღე გაანადგურონ ძისი აურაცხელი ბუნებრივი სიმდიდრენი. მსოფლიო რევოლიუცია ჩქარა მოახდენს ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაციას, სადაც ისინი არ უნდა იმყოფებოდენ.“ — ასე ინუგეშებს თავს „საქართველოს კომუნისტი“.

კომუნისტმა უნტერ ოფიცრის ქვრივმა თავისი თავი გაიმართახა, როცა სამი წლის სოციალიზმის შემდეგ უცხოელ კაპიტალისტების მოწვევა აუცილებლათ აღიარა, ახლა კი წყლულებს იშუშებს—თავს ინუგეშებს, მსოფლიო რევოლიუცია შეგვიმსუბუქებს უცხოელების მოწვევით გამოწვეულ ტვირთსო.

ნეტავ თუ გულწრფელათ სჯერათ კომუნისტებს თავისი ნუგეშის?

ე წ—ძე

უკანასკნელი საათი.

ტრაპიზონიდან მიღებულ ცნობებით ლაზებში მობილიზაცია გრძელდება. ლაზებთან არიან გაქცეული აფხაზები. ხმებია იქვე არიან ბოლშევიკები იება და ლაკობა.

ტრაპიზონის ცნობები.

— ტრაპიზონში ხმაა გავრცელებული, რომ ოსმალეთი არ ურიგდება სოხეთს.

— კავკასიის ასპარეზისკენ ქემალ-ფაშას ახალი ჯარები გადმოჰყავს.

— ხმებია თითქოს ანგორის მთავრობას ხალხისთვინ გამოეცხადებიოს, რომ ის არ დაუშვებს რუს ბოლშევიკთა ოსმალეთის შინაურ საქმეებში ჩარევას.

სომხეთი.

საბჭოთა სომხეთი.

უკანასკნელად მიღებულ ნახევრათ ოფიციალურ ცნობებით, ვრაციანის მთავრობამ მთელი ძალაუფლება, როგორც სამოქალაქო ისე საბჭედრო გადასცა გენ. დროს. საბჭოთა რუსეთის ელჩთან ლეგრანთან დადებულ პირობით რუსეთი ვალდებულია დაიცვას სომხეთის საზღვრები (ამ საზღვრებში ხელშეკრულების თანახმად შედის ნახიჩევანი და ზანგეზური) გამოცხადდა საბჭოთა სომხეთი.

სომხეთის რევკომში შედიან დრო, ტერტერიანი (დაშნაკები) მრავანი ტერ-გაბრიელიანი, კასიანი და ბეკზადიანი (ბოლშევიკები)

მიღებულია ზომები სამოქალაქო ომის თავიდან ასაცილებლად.

ერივანში სიმწყნარეა.

საქალაქო არჩევნები.

სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ რომ ქ. ბათომის საქალაქო არჩევნები მოხდება 1921 წ. 1 იანვრიდან 10 იანვრამდე.

ამა თვის 15 დან 25 მდე მოხდება ქ. ბათომში გენერალური აწერა საქალაქო არჩევნებისთვის.

— საჭირო სიები და ქალალდები უკვე დაეზადებულია ქალაქის თვითმართველობაში და საზოგადოთ მიღებულია ყველა ტეხნიკური ზომები.

ქრონიკა.

ჯარის და გვარდიის ალღუმი დანიშნულია დღეისთვის

— დღეს მუშათა სასახლეში გაიმართება ბუშათა სიმფონიურ საორკესტრო დილა

— დღეს მუშათა სასახლეში დანიშნულია მეზოვეთა კრება.

— 3 დეკემბერს 1 საათზე შეიკრიბენ ფრონტის დამხმარე კომიტეტის სექციათა თავმჯდომარენი და მდივნები. მოიწონეს ტექსტი მოწოდებისა, რომელიც უნდა დაიბეჭდოს გაზეთებში. დაადგინეს გადათარგმნონ ყველა ენებზე, დაბეჭდონ ცალკე და სახოვონ გაზეთების რედაქციებს უფასოდ დაბეჭდვა აგრეთვე თავმჯდომარის საშუალებით სახოვონ მთავრობის განსაკუთრებულ რწმუნებულს, რომ ქალაქში შემოწირულებათა შეგროვება, გასართობების თუ საღამოების მოწყობა და სხვს ამგვარები ხდებოდეს მხოლოდ ფრონტის დამხმარე კომიტეტის ცნობითა და დასტურით.

— მესამე უბნის კომისრის მიერ გაჩხრეკილ იქნა მცხოვრები მარინეს ქ. № 57 ვლადიმერ პუტილინი, მელან პოგარელოვი და მარია სტეფანეს ასული ლაგუტინისა რომელთაც აღმოაჩნდათ სხვა ენებზე მიწერ მოწერა, ცარიელი ბლანკები ყუბანის ფლოტ ლიის და ნავთსადგურის სამმართველოს ბეჭედ დასმული, სამსახურის ნუსხა ზემოხსენებული პირები აკეთებდენ ყალბ ნამსახურების ბილეთებს და სხვა და სხვა ყალბ ბლანკებს, ისინი მსახურობდენ ინგლისელების დროს თარჯიმანებათ და მათი წასვლის შემდეგ ყალბი საბუთების მზადებას მიყვეს ხელი. მესამე უბნის კომისარი შეუდგა ამ საქმის შესახებ დაკითხვას და სასტიკ გამოძიებას. ზემოხსენებული სამი პირი შეპყრობილია.

— გუშინ ქალაქში ქალაქის ახლო აგარაკებიდან ციდეალი მანდარინა შემოიტანეს.

ნავთსადგურში.

— გუშინ მოვიდა გემი „პეტროსი“ ბარგის გადმოტვირთვის შემდეგ გავა რესპუბლიკის სხვა პორტებში.

— ორშაბათს 6 დეკემბერს იტალიიდან მოელიან გემს „ფრანც ფერდინანდს,“ რომელმაც საქართველოსთვის უნდა ჩამოიტანოს სხვა და სხვა საქონელი.

— იტალიის გემი „კოსტანტინე“ ბათომიდან გავა მხოლოდ 9 დეკემბერს და გაივლის ანატოლიის ნავთსადგურებში.

— ისპანიიდან მოვიდა სხვა და სხვა საქონელით გემი „ტორეო ბლანკა“.

— გემი „შეფილდი“ გავა ბათომის ნავთსადგურიდან მომავალ კვირეში.

— კარგი ამინდის გამო ოსალეთის ნაპირებისკენ გავიდა რამოდენიმე იალქნიანი ნავი.

თბილისი.

— მატერიალური დახმარების ალმოჩენა მუშებისათვის. ცენტრალურ კომიტეტში შესდგა მუშა-მოსამსახურეთა მატერიალურ მდგომარეობის გამომრკვევ კომისიის პირველი სხდომა. კომისიას შემდეგი გეგმა აქვს დასახული: უნდა გამოირკვეს მუშების და მოსამსახურეების როგორც ეკონომიური მდგომარეობაა აგრეთვე მათი კვების საკითხი და სხვა. გამოკვლევის საფუძველად მიღებულია არა ოჯახი, არამედ სამეურნეო ერთეული.

ბათომის ქალაქის საბჭოს სხდომა 3 დეკემბერს.

სხდომა გაიხსნა საღამოს 7 საათზე. თავმჯდომარეობს ნ. ლ. მიქელაძე, რადგანაც თავმჯდომარე ო. რამიშვილი ავათ არის. ესწრობა 18 ხმოსანი, გამგეობის წევრები ბ. გოგოლაძე და ქორქაშვილი, საბჭოს ია გამგეობის მდივანები. საბჭოს მდივანი ვ. ჩხაიძე საბჭოს მოახსენებს, რომ ხმოსანმა ჯუმალ ეფენდი ქიქავამ განცხადება შემოიტანა, რომ მას ბევრი საქმეები გამო დრო არ აქვს და ხმოსნობას თავს ანებებსო. პრეზიდიუმმა მორიგი კანდიდატი მოიწვია მის მაგიერ ექიმი პლ. გ. გიგინეიშვილი. საბჭომ საყურადღებოდ მიიღო ეს განცხადება და დაადასტურა ხმოსნის მოწვევა.

საშუალო საარჩიზო გადასახადი 2.750,000 მან. რაც რესტორანებს და სამეკიტნოებს უნდა გაეწეროს 1921 წელს, საბჭოს დაამტკიცა მხოლოდ ნახევარი წლით, რომლის განმავლობაში უნდა აღებულ იქნას ამ თანხის ნახევარი. საბინაო განყოფილების დაარსება საბჭომ მოიწონა და იმისი შტატი 5 ხუთი კაცით განსაზღვრა. სასურსათო განყოფილების გამგეთ ნ. საყვარელიძის მოწვევა 50,000 მან. ჯამაგირით თვეში საბჭოი დაადასტურა.

— მდინ. მეჯინაზე (ათავანის გაკეთება გასამაგრებელ კედლის აშენება, წყალსადენის მილისთვის ბარცხანაში საბჭომ მოიწონა და ხარჯის გაღება დაადასტურა.

30% გადასახადისგან ზოგიერთ საქველმოქმედო საზოგადოებათა განთავისუფლება, შემწეობის მიცემა ინვალიდნისათვის და აბულიასთვის საბჭომ დაადასტურა. ბერტა სვიატკოვსკაიას, რომელიც საჯარო ვაჭრობის დარბაზის გახსნას ითხოვდა, საბჭომ უარი უთხრა.

დამატებითი საკითხი საბჭომ გადარჩა ნაჩქარობის სიბ.ოთი წერა-კითხვის საზოგადოების სკოლის შესახებ და დაამტკიცა ეს საბუთი.

ქალაქის საჯარო ვაჭრობის დარბაზის გამგეთ საბჭომ აირჩია რაჟიენ კაკაბაძე. კანდიდატათ ნიკო კორძაია, დამფასებლათ თეიმურაზ თოფურია.

ძველი დღიურიდან.

...უკრაინის დაჩოკიდებულობას დენიკინი ზურგში დაეცა იქ. ოდესაში პეტლიურას გლეხთა და მუშათა სასწრაფოდ შეკრებილი რაზმები თავს სდებდენ ქვეყნისთვის. პეტლიურამ ვერ გაუძლო დენიკინს ოდესაში და კიევ-ხარკოვისკენ დაიხია ამ დროს საბჭოთა რუსეთის ჯარები ქალაქ ვორონეჟს იპყრობდა, დამშეული მოსკოვის წითელი არმიელები ჭინჭველებსავით ეხვევოდენ ქ. ხარკოვს.

მახსოვს დირექტორიის საგარეო საქმეთა მინისტრის ბ-ნ ჩეხოვსკის გამუდმებული ნოტები და პროტესტები მოსკოვის მიმართ თავისუფალ უკრაინის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკაში ბოლშევიკურ ჯარების შემოჭრის გამო, და ჩიჩერინის იეზუიტური რწმუნებანი, რომ მოსკოვს უკრაინისადმი არავითარი აგრესივობა არ ამოქმედებს და საბჭოთა ჯარებს, რომლის უკრაინაში შეჭრის ამბავი მოსკოვმა ჯერ არც კი იცის, ბრძანება მიეცა უკრაინის საზღვრებიდან გამოვიდეს. უკრაინის დირექტორიას სწამდა ჩიჩერინის სიმართლე და ბოლშევიკთა ჯარის მოწოლას სათანადო ყურადღებას არ აქცევდა. ეს იყო იანვარში 1919 წ., მაგრამ თებერვალში დირექტორიამ ფაქტთა სიტყვლით დაინახა, რომ მოსკოვის ჯარი არა თუ უკან იხევს, არამედ ხარკოვს იპყრობს და ეკატერინოსლავის გუბერნიაში აჯანყებას აწყობს.

ჩეხოვსკიმ კვლავ პროტესტი წარუგზავნა მოსკოვის კომისარ მპყრობელთ, და აი რა უპასუხა მოსკოვმა;

უკრაინამ კომუნიზმი მოითხოვა, ეკატერინოსლავი თქვენ აგიჯანყდათ, ჩვენ დახმარებას გვთხოვს და რა შუაში ვართ ჩვენ, როცა ადგილობრივი ხალხი საბჭოთა ძალა უფლებას თვითონვე ამყარებს, ეს საბჭოთა იდეის თვით გამარჯვებაა და სხვა არაფერია. ამავე დროს რაკოვსკის საბჭოთა კაბინეტი, უკრაინაში საბატონოდ რკინის გზის ვაგონით ხარკოვს მოადგა.

აი ბუნება მოსკოვის დიპლომატიისა. ასეთია ბ-ნ ლეგრანის პირველი სიტყვა, როგორც ბ-ნმა ჩიჩერინმა უკრაინას უთხრა 1919 წ. მიცემულია განკარგულება, რომ მოსკოვის ჯარი თუ სადმე შევიდა უკრაინაში, უკანვე გავიდესო. ლეგრანმა უკვე არწმუნა სომხეთის ახალი მთავრობა, რომ დელიჟანში თუ შემოვიდა საბჭოთა ჯარი მას მე ბრძანება მივეცი უკან წავიდესო.

ლეგრანს დარჩა სათქმელად, საბჭოთა გადატრიალებას ადგილობრივი ხალხი აწყობს, რაც კომუნიზმის თვით გამარჯვებას ნიშნავს და ჩვენ რა შუაში ვართ

ალბად ეს ჯერ იმიტომ არ უთქვამს ლეგრანს, რომ ამის დროს არ დამდგარა.

ასეთია ბოლშევიკების ბუნება.

ირაკლი.

დედა ქალაქის პრესა სომხეთზე

„მართობა“.

„ცნობა მოვიდა დელიჟანში და ქარავანსარაიში საბჭოთა მთავრობის გამოცხადების შესახებ. სწორეთ იმ დროს, როდესაც ქემალის წითელი ქუდები შემოვიდენ ყარსს და გუმბრუ, გადაჭრეს სომხეთის რკინის გზა და ერევანი მოსწყვიტეს დანარჩენ ქვეყანას, სომხეთის ერთ კუთხეში თითქოს მეგობრათ მოვლენილ საბჭოთა რუსეთის ჯარების გვერდით ხდება გადატრიალება, ცხადდება საბჭოთა რევკომი. საბრალო დელიჟანის გლეხები რომელთაც სოციალიზმზე, ვგონებ, ჯერ სიტყვაც არ მოუსმენიათ და თავის სიცოცხლეში პირველყოფილ მეცხვარეობისა და მიწის მოხვნის იქით არაფერი უნახავთ, უეცრათ სოციალიზმის უკიდურესი ფორმის კომუნიზმის ადეპტები შეიქნენ და საბჭოთა სისტემა შემოიღეს. ვინ დაჯერებს, რომ ეს მინაგან განწყობილებით წარმოშობილია, ვის შეეძლია თუნდ ერთი წუთით ეს ხალხი კომუნისტების პირწმინდა მიმდევრებათ ჩაითვალოს?

მაშ რაშია საქმე?

საიდან გაჩნდა კომუნიზმი ისე მოულოდნელათ და უჩვეულოთ, როგორც მოწმენდილ ციდან მეხის გრუხუნი?

კომუნისტები რასაკვირველია ამას თავის მჭლე იდეების მძლეთა მძლეობას მიაწერენ. ქებითა და ტრაბახით ყურებს გაგვიჭედენ.

მაგრამ ჩვენ უბრალო მოკვდავებს, რომელთაც არ გვწამს სასწაულები, სულ სხვა აზრი გვაქვს ამ საგანზე. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაში დელიჟანის მიმართ განმეორდა იგივე პოლიტიკა დაპყრობისა, რომლის ცდა სისტემატიურათ [illegible] მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც ქემალს ჯარები ჯიჯგნიდა და უძლურებულ სომხეთის სხეულს. რამდენიმეჯერ ასეთმა ცდამ სათანადო ნაყოფი ვერ გამოიღო, გარდა იმისა, რომ შინაგან არეულება შექმნა და ქემალის შემტევთ ძალა მისცა.

ახლაც დელიჟანის რევკომი პირველ თავის ნებიჯს იქითკენ სდგამს, რომ რუსის ჯარს იწვევს სომხეთის შინაურ საქმეებში ჩასარევად.

რუსის ჯარს იწვევს არა სომხეთზე შემოსეულ ქემალის ჯარის გასარეკად, ეს რომ ასე იყოს, ჩვენ ერთ სიტყვასაც არ დავსძრავდით მათ წინააღმდეგ. მაგრამ როცა შემოსეულ მტერს ივიწყებს და შინაურ მთავრობის ჩამოგდებას ახალი გარეშე ძალის ჩარევით ცდილობს, ეს კი მხოლოდ მუხანათური ღალატი იქნება თავის ქვეყნის და მთელი დემოკრატიის“.

„საქართველო“.

„დელიჟანში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. ეს ამას ნიშნავს რომ სომხეთში დამყარდა საბჭოთა წყობილება. ამით მოისპო და ისტორიას ჩაბარდა სომხეთის დამოუკიდებლობა, ისე როგორც მოისპო და ისტორიას ჩაბარდა აზერბაიჯანის დამოუკიდებლობა. ამ ქვეყანაში საბჭოთა წყობილების დამყარებამ, პანთურქიზმის ტრფიალმა ღალატი ჩაადენინა თავის ქვეყნის წინაშე, ხოლო ქემალის საფრთხემ სომხეთს ხელი აღებინა თავის დამოუკიდებლობაზე. ორსავე ქვეყანას ჩამოეხადა სუვერენობის გვირგვინი და ისე როგორც 1918 წლამდე, 1920 წლიდან ორივე კვლავ რუსეთმა დაიუფლა. გათავდა ორი ხალხის, ორი ქვეყნის თავისუფლების ეპოპეა. ვერ მოუარეს თავიანთ თავს. არ აღმოაჩნდათ ტრადიციის ძალა, არ აღმოაჩნდათ სახელმწიფოებრივი შემოქმედების უნარი. სამწუხაროდ და სამგლოვიაროდ დაბოლოვდა იარი ჩვენი მეზობლის ხანმოკლე სუვერენობის ლიდებული გამონათება. ამიერ-კავკასიაში სამნი ვიყავით აღდგენილი ეროვნული ხელმწიფების უფლებ ში და სამნივე ერთი მეორის ფარი და სიმტკიცე ვიყავით იმდენად მაინც, რამდენადაც ყოველი ჩვენთაგანი თავის თავად თავისი დამოუკიდებლობის მომხრე იყო. მართალია ჩვენ ვერ ავედით ამ მომენტის უმაღლეს პოლიტიკურ დაფასებამდე და ვერ შევქმენით ის მილიტარული შეკავშირების და ურთიერთის სავალდებულო დახმარების გარანტიები, რომელიც ერთს ყველასთვის და ყველას ერთისთვის აგვამოქმედებდა; მაგრამ ისიც მართალია, რომ ყველას ეს დასახული ჰქონდა როგორც ერთგვარი სავალდებულო მისაღწევარი, ხოლო სანამ ეს განხორციელდებოდა თვითეული საკუთარ თავდაცვას ადგა და სწორედ ამ ენათვე იგი ხელს უწყობდა მეორის თავდაცვის სიმტკიცეს. **დღეს** სომხეთ-აზერბაიჯანი აღარ **არსებობენ;** მათი სიმტკიცის ბეჭნი დარღვეულია და მათ ეროვნულ ნებისყოფას დღეს უცხონი ბატონობენ.

მეზობლები ჩამოგვეცალნენ და მათ მიწაწყლიდან და საზღვრებიდან მოგვადგა ის ძალა, რომელიც ჩვენა გვმტრობს და რომელიც ჩვენს განმტკიცებაში კი არ არის დაინტერესებული, როგორც ამაში ყოფილი მეზობლები იყვნენ, არამედ ჩვენივე დასამხობათ ისევე ილეწის, როგორც ილეწოდა ამ უკანასკნელთა დამოუკიდებლობის დასაშლელად. შეიძლება, რომ სომხეთ-აზერბაიჯანის ახალი ბატონის ჩვენდა სამტროდ განწყობილ ნებისყოფას თვით სომხეთ-აზერბეიჯანის მესვეური ეროვნული ძალაც შეუერთდეს, „მეც წავხდი, შენც წაგახდინეს“ სიყვარულით. ეს იქნებოდა მხოლოდ გაძლიერ იმ საფრთხის, რომელსაც ახალი ბატონი ამ ქვეყნებიდან გვიმზადებს.

ასეთია ვითარება, რომელიც შეიქმნა საქართველოს გარშემო და რომელმაც საქართველო გაამტრტოხელავა მთელს ამიერ კავკასიაში, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო. ჩვენთვის ეს ვითარება მოულოდნელი არ იყო. მას შემდეგ, რაც აზერბაიჯანი საბჭოთა რუსეთმა ხელში ჩაიგდო და ქემალმა სომხეთის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედება დაიწყო, ჩვენ ვვარაუდობდით ამგვარი მდგომარეობის დამყარებას საქართველოს გარშემო. საქართველოამისთვის პსიხოლოგიურად შემზადებულია; ნივთიერი და ორგანი ზაციული ღონისძიების მხრივაც იგი, კარგი ხანია, რაც ამ მდგომარეობას ეწყობა.

ამ მოვლენაში, აღსანიშნავია და გამამხნევებელი კიდევ ისა, რომ საქართველოს ცხოვრებაში ამგვარ ვითარებასთან შეგუებას არ აქვს იმპროვიზაციის ხასიათი. ეს საქართველოს სისხლშია შესული, ეს მისი ტრადიციაა! საქართველო ბუდამ მარტო იდგა ამიერ-კავკასიის სივრცეზედ, როგორც სახელმწიფო, დამოუკიდებელი და სუვერენული! სად იყო აზერბაიჯანის, ან სომხეთის სახელმწიფო მაშინ, როდესაც საქართველოს ხელმწიფება საუკუნეთა სიგრძეზედ ჰფარავდა თითქმის მთელ ამიერ-კავკასიას და როდესაც საქართველოს მოსათხრელად მის ფერდებს ეხეთქებოდა იმ დროის შავ ძალა-ა უზარმაზარი მდენარი ტალღები!?

საქართველო დაჩვეულია ობლად ხელმწიფობას ამიერ-კავკასიის მოედანზედ!

ამან შეუქმნა მას დიდი ძალა წარსულის და ამაში ჩამოყალიბდა იმის სხეული და მისი სული. ამ მარტოობას სილამაზე და ობლად გმირობის წარმტაცობა იყო მისი დაუმარცხებლობის წყარო და მისი თავდადების სტიმული. ამით ამაყობს წარსული საქართველო და დაგვიდგა დრო, რომ დღევანდელმა საქართველომაც იმით იამაყოს და წინაპართა გმირობისა და სახელმწიფოებრივი ნიჭის გვირგვინს ახალი სხივი ჩაქსოვოს!

გარს შემოგვერღვია კედლები რომელთაც ძირს არ უმაგრებდა ღრმა და მტკიცე საძირკველი ეს კედლები ჩვენ არც [illegible] ნია, მაგრამ დამოუკიდებლობა [illegible] ფილვართ და სუვერენობა მეგვეპარჩუნებია. დღესაც ქართველი ხალხი მზადაა გაილოს უკანასკნელი მსხვერპლი, მისცეს სამშობლოს ქუდზე ვაჟკაცი და ლუკმა გაუნაწილოს იმ გმირებს, რომელნიც ბამბაკ—ბეზომდალის ყინვით დაძირულ მაღალ ქედებზე იარაღით ხელში დარაჯობენ საქართველოს უკვდავებას.

დაუმტკიცოთ კაცობრიობას, რომ ჩვენც ის ქუდი გვახურავს, რომელიც ჩვენს წინაპარს ეხურა!

აზერბაიჯანი დაეცა, საქართველო იდგა.

სომხეთი იქცეცა.

საქართველო დგას.

და ფეხზე ვიდგებით, სანამ ბამბაკ ქვესკნელში არ გაივლის და ყოველ ქართველ ვაჟკაცს გულის ცემა არ შეუწყდება!!

მარტო ვართ, როგორც ძველად!..

მაგრამ ან იქნებ დელიჟანს ერევანმა სძლიოს, საბჭოთა რუსეთი სომხეთიდან გაიდევნოს და სომხეთი დამოუკიდებელი დარჩეს. ღმერთმა ჰქნას, ამ შესაძლეობის განხორციელება ჩვენს სიმტკიცეს არგებს! მაგრამ ჩვენ უნდა მზად ვიყოთ უფრო უარესისათვის.

ბ ა ქ ო.

აზერბეიჯანში ადგილობრივი მკვიდრთა მეტი წილი მეურნეობას მისდევს, დანარჩენი კი თითქმის ვაჭრობაში იყვნენ ჩამბულნი. ქალაქის პროლეტარიატი მათ შორის თუ არის, სრულიად უმნიშვნელო ნაწილი. ასეთივე მცირე რიცხოვანია მათ შორის ინტელიგენცია. ამიტომ პირველ დღეებში, როდესაც ბოლშევიკებმა ურიცხვი ჯარი შემორეკეს ბაქოში, თათრებს თითქმის გულწრფელად უხაროდათ, რადგან ეგონათ ჯარი წესიერების დაცვას და სხვა. მართალია 1918 წლის გაკვეთილი ქონდათ მცირედი, მაგრამ ამ შემთხვევაში ისენი ბრალს მხოლოდ სომხებს დებდენ, რადგან მაშინდელი ბოლშევიკები რუსეთიდან მოწყვეტილნი სულ ერთიან ეყრდნობოდნენ სომხების შეიარაღებულ ძალაზე. ეს ძალა კი შედგებოდა უმთავრესად მაუზერისტებისაგან, რომლებშიც ისეთებიც ერია, რომლებიც გახურებულ რკინებზე თათრის ბავშვებს სწვავდნენ და ასე წამებაში წუთი სოფელს ასალმებდნენ, მოზრდილებს რასაც უშვებოდნენ ეს გაყეთის ფურცელზედ არ ეამოიტანება. ზოველივე ეს ხდებოდა მაშინ ბოლშევიკების სახელით, მაგრამ ადგილობრივ თათრებმა ეს კარგათ იცოდენ, რომ აქ სხვა ხელიც მუშაობდა. მაგრამ როდესაც რეკვიზიციები დაიწყეს და ყველას ყველაფერი ჩამოართვეს მაშინ კი აჩოჩქოლდნენ, მაგრამ მაშინათვე პირში წყალი დაიგუბეს, რადგან მაშინ ჩრეზვიჩაიკები გამალებული მუშაობენ და ყოველ დღე ხვრეტდნენ ყველა იმათ, ვინც ოდნავ უკმაყოფილებასაც კი გაბედავდა მათ წინააღმდეგ. მდგომარეობა აუტანელი გახდა, გამოსავალი კი არსაიდან არ ჩანდა. შეიქმნა მათ შორის ბუმი ჩურჩული, ვინც გაბედა გაიხიზნენ. ვინ სად მიდიოდა ან რას ფიქრობდნენ რა თქმა უნდა არავინ იცოდა. ერთ მშვენიერ დღეს გავარდა! და ეს გავარდნა თქვენც იცით, რომ განჯაში მოხდა. მე პირადათ იქ არ დავსწრებივარ მხოლოდ ვიცი გადმოცემით, როდესაც განჯიდან გამარჯვებული „ძლევამოსილი“ ჯარი დაბრუნდა, ჩებს ბინაზედ მოხდა ერთი ოფიცერი, რომელსაც მე

ძლიერ დაუახლოვდი. ის კაზაკი იყო, გვარად კარტაშოვი. მან მიამბო: დილის 4 საათი იყო, როდესაც სროლის ხმა გავიგონეთ. პირველად ჩვენ შემთხვევით სროლა გვეგონა, მაგრამ, როდესაც გაძლიერდა, ვიკადრეთ ლოგინებიდან წამოდგომა. ვავიგეთ თუ არა საქმის გარეშოება, ავამუშავეთ მთელი ჩვენი ძალები გაიმარჯვა საშინელი ელეტა, მაგრამ ჩვენის ძალებით ვერას გავხდით. არ გაუვლია დიდ ხანს, რომ ახალი ჯარები მოგვაშველეს. განჯაში ჩხუბმა საშინელი ხასიათი მიიღო. მიწინაალმდეგენი საკმაოთ გამაგრებულნი აღმოჩნდნენ. შემოვერტყით ირგვლივ, ექვსი ჯავშნიანი მატერებელი დავარიგეთ რკინის გზის ლიანდაგზედ გაუჩინეთ ირგვლივ ცეცხლი, წითელ არმიელებს გამოცხ დებული ქონდათ თუ კი ბიღებდნენ განჯას სამი დღის განმავლობაში ქალაქი მათ განკარგულებაში ი1ნებოდა და ისარგებლებდენ ისე, როგორც კი იხურვებდნენ. ქალაქი ცეცხლის ალში გაეხვია. 5 დღის განმავლობაში სრულიად დავანგრიეთ. მეექვსე დღეს კი დავიპყრეთ. ქამაკაცები ვინც გადარჩნენ მთებში გაიხიზნენ, დედაკაცები, ბავშები, და მოხუცნი კი სარდაფებში დამალულიყვნენ. ჩვენ როგორც კი შევედით სარდაფებში ლამალულებს ბოიშბები ვესროლეთ და დიდი და პატარა სულ ერთიანა ამოვწყვიტეთ. ჯარის კაცები კი ერთი მხრით ელეტნენ ვისაც კი დაინახავდნენ მეორე მხრით ძარცვავდენ ან უკეთრომ ვთქვათ ამ სრულიად უპატრონო და უადამიანო ქალაქში არჩენდნენ ოქროს, ვერცხლს აბრეშუმს და სხვა ასეთ ძვირფას საქონლებს. როდესაც ნადავლით ყველაფერი ავივსეთ, შემდეგ სმას მივყავით ხელიო,, ასე დათავა განჯის,,გმირმა'' თავისი საუბარი. წითელ არმიელებმაც იგივე მიამბეს რაც ,,ამხანაგ'' კარტაშევმა, მხოლოდ დაამატეს: ეს აუარება ნადავლი ვერ მოვიხმარეთ და სადგურებზედ ოხრის ფასათ დავყიდეთ. ბაქოში შეგარებით კარგი ფასები ქონებია, მხოლოდ სამწუხაროთ აქამდე ბევრი არაფერი ჩამოგვყოლიავო.'' ისე იყო თუ ასე ამისი ოწამე კი პირადად გახდით, რადგან ისენი ჩემი პირდაპირ იდგნენ სახლში, რომ ეს უბრალო ჯარის კაცები ყოველ დღიურად წალმა უკულმა ათასობით ფლანგავდნენ. ასე სამწუხაროდ დამთავრდა აზერბეიჯანელების ,,ჯანყი.''

(გაგრძელება იქნება)

რ. კაკაბაძე

პატარა ფელეტონი.

ეროვნულ-დემოკრატების ლიდერი გვაზავა.

ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს განსვენებულ კოტატის და რაც მის ხანი დააკლდა, (სიკვდილის წინა დღეს 90 წელი შეესრულდა) მისს შთამოვებას შესძინოს. მან თვისი გერის, გიორგის, აღზრდით, ვაჭრულ ნიადაგზე განტაცებით ლამის იხსნას საქართველო თათართა ურდოს შემოსევისაგან. სულ იმას ჩასჩიჩინებდა მამინაცვალი თავის შვილობილს, რომელსაც სავსებით რიგიანად ვერ ჰქონდა ტვინი კოლოფში დალაგებული: შვილო! ცალი თვალით ივაჭრე და ცალი თვალით იკითხეო, რომ ქვეყანაზე სახელოვანი კაცი იქნეო.'' გიორგისთვის დაურღეველი მცნება იყო მამინაცვლის დარიგებანი: ცალი თვალით რომ ჯერ ,,დედა-ენას'' და მერე ,,ბუნების კარს'' და ,,რუკოვოდსტვოს'' კითხულობდა, მეორე თვალით ტიკიდან მუშტრებს ღვინოს უსხამდა, რის გამო ღვინის კამარა ბოთლის პირს, ასე გასინჯეთ, ძაბრსაც სცილდებოდა და იტაკზედ უხვად იღვრებოდა და განჯის შავი ღვინის შხეფები წიგნებსაც ეპკურებოდნენ და აჭრელებდენ. მიუხედავად ამისა მიკიტანი კოტატი სიამოვნებით შეჰყურებდა თავისი სიმდიდრის ღირსეულ მემკვიდრეს, ვინაიდან გიორგი თვინიერ სწავლისა და ვაჭრობის უნარისა, პოეტობის ნიჭსაც თავიდანვე იჩენდა. კოტატიმ თავი გამოიდო და თავის სირაჯხანის შემოსავალი გიორგის უმაღლეს განათლების მიღებას გადაალია.

აქვე უნდა ვსთქვათ, რომ გიორგი წინად ხორკის გაყიდვაშიაც მარჯვე იყო, რადგან იმ დროს კოტატი ყასბის შაგირვართაც იყო... მას აქეთ მრავალმა წელმა განვლო და მრავალი წყალი შეუნაკადა რიონმა შავ ზღვას. გიორგი დიდი კაცი გამოვიდა: უცხო ენიდან ლექსებიც გადმოიღო დიდის ამბით, თუმცა აკაკიმ ყველა დაუწუნა... ნაფიცი ადვოკატი გახდა და ისეთი, რომ ბევრი, მტყუანი გაამართლა და ბევრი საკატორღე იხსნა მძიმე ბორკილებისაგან... უცხოეთი მოიარა. დასასრულ დამფუძნებელი კრების წევრობა ირგუნა; მაგრამ, რაც ერთხელ მამინაცვალის სამიკიტნოში შეითვისა და შეისისხლხორცა, იმას მაინც არ გაეყარა და ეხლა გამოიჩინა საოცარი ნიჭი და უნარი, ტყუილად კი არ თქმულა. ,,ნუ დაადგებ ძველსა გზასაო''.

10000 მსხვილ-რქოსანი თათრული ლირებით შეიძინა და სათათრეში მიერეკ ბა, რადგან ქემალ-ფაშასთან სვაჭრობ-სამშიდობო ხელშეკრულება აქვს დადებული, რომ საქართველო თათრების შემოსევისაგან იხსნას.

სომხების უიღბლობა თქვით, რომ თათრები ღვინოს არ სმენ, თორემ ჩვენი გიორგი იმათ ყველას კახურით დაათრობდა და სომხებს ომს მოაგებინებდა..

ჩემი ნატვრა.

I.

ნეტავ მანატრა, მანატრა,
ეს ნატვრა ამიხდებოდეს:
ლეგა ლრუბლების ცის თაღზე
კვდებოდეს, აღარ ჩნდებოდეს.
ჩემი სამშობლოს მიდამო
მუდამ პრწყინავდეს, ჰყვაოდეს
და ყორანთ კრება მის თავზე
აღარ ჰკიოდეს, ჩხაოდეს.
ხალხის დასახულ მიზანი
სულ მალე დამყარდებოდეს
და მისი სისხლის მწოველი
უფსკრულში გადვარდებოდეს.
ძმობა, ერთობა, მშვიდობა,
ყოველგან აყვავდებოდეს,
მჩაგვრელობა და მონობა
დამცირდებ-დაკნინდებოდეს.

II.

კიდევ მანატრა, მანატრა,
ეს ნატვრა ამიხდებოდეს:
პროვოკატორთა ლაშქარი
ჩვენში არ დაწანწალებდეს.
მის ბნელი აგიტაცია,
ბნელშივე ჩაიხრჩვებოდეს,
გულისა გრძნობა და ლტოლვა
ბოლმითა დაითვრებოდეს.
გლეხობა თავის სწორსა გზას
აღარა გადაცდებოდეს
და ჩვენს სახალხო მთავრობას
სულ გვერდში ასე დგომოდეს.
შავრაზმელების ბუდე კი
თვის მიზნით დაიმსხვრეოდეს—
უმანკო სისხლი ძმათ შორის
კვლავ აღარ დაინთხეოდეს.

ჯაკნელი ბზიკი.

ბათომის მომხმარებელი საზოგადოება

კვირას 5 დეკემბერს 1920 წელს. დილის 10 სათზე

ᲨᲔᲡᲓᲒᲔᲑᲐ

ბათომის თვითმართველობის შენობაში

საგანგებო საერთო კრება საზოგადოების წევრებისა.

ᲓᲦᲘᲡ ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲘ:

1. კამგეობის მოხსენება საზოგადოების მოქმედების შესახებ 1920 წ. და შედეგები. 2. სარევიზიო კომისიის მოხსენება. 3. საპაიო გადასახადის გადიდება. 4, 1920 წ. ხარჯთ—აღრიცხვისა შესრულება და ხარჯიაღრიცხვის ზედმეტ ხარჯების გაღება. 5. მიმდინარე საქმეები.

ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐ.

თანახმად საზოგადოების წესდების № 32, თუ საერთო კრება არ შესდგა 5 დეკემბერს, ის გადატანილ იქნება ამაწლის 12 დეკემბრისთვის, რომელიც კანონიერათ ჩაითვლება და მისი გადაწყეტილება საკალდებულო იქნება ყველასათვის, რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს მას.

ᲛᲔᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ

ავტომობილის მთელი ზედა ნაწილი,

Ე. Ი. ᲙᲣᲖᲐ

პირობის გაგება შეიძლება კავკავის და თბილისის ქ. კუთხე შეშის საწყობი Ვ. ᲡᲐᲓᲠᲐᲫᲔᲡᲐᲜ.

ნ. ა. გამყრელიძის ცირკი.

კვირას 5 დეკემბერს

დღისით ბავშთა დილა
საღამოთი საღღესასწაულო

ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲐ

ᲫᲘᲓᲐᲝᲑᲔᲜ ᲝᲠᲘ ᲬᲧᲕᲘᲚᲘ

1 შუბა —წითელინილაბის წიაღმდეგ,
2 ზაგორუიკო—უცნობის წინააღმდეგ.

ანონსი: ამ დღეებში გაიმართება ᲫᲛ. ᲠᲘᲒᲝᲜᲘ ბენეფის.

ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ ᲡᲐᲮᲚᲘ

ᲫᲛ. ᲡᲔᲡᲘᲐᲨᲕᲘᲚᲔᲒᲘ ᲓᲐ ᲐᲛᲮ.

შერემეტევის ქ. № 74

ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲣᲠᲘ

ᲜᲐᲤᲣᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲜᲘᲐᲙᲘ

ვაჭრობა ბითუმათ, პოჭკებით და ბოთლობით.

ᲙᲣᲠᲘᲡ ᲚᲕᲘᲜᲝ

„ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲘ“

საუკეთესოდ გაწმენდილი „სავალის“ აპარატებით

ᲧᲣᲠᲫᲜᲘᲡ ᲐᲠᲐᲧᲘ.

ᲮᲘᲚᲘᲡ ᲐᲠᲐᲧᲘ („ᲭᲐᲭᲐ“)

ახლად დამზადებული ახალი ღვინდიან. სიყალბის და მიბაძვის თავიდან ასაცილებლათ ფირმა სთხოვს ყველამომხმარებელთ, ითხოვონ ბოთლები, რომლებზეც ქარხნის ბეჭედი პრობკაზე მიაწერია.

სარედაქციო კოლეგია.